საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 21 0000053932

02/02/2021

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის,„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლი ს პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.
1.4. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. ამასთან, აკრედიტაციის პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭო აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილია შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად, ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით, განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ამგვარი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზები არ/ვერ გამოსწორდა, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად.
1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 15 სექტემბერს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №839144 სააკრედიტაციო განაცხადი „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 07 ოქტომბერს №956365 ბრძანების საფუძველზე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის №1126137 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 24-25 დეკემბერს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 26 იანვარს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და	√			

ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 02 თებერვალს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ,კენჭისყრის შედეგად 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენითა და 2 წელში მონიტორინგის განხორციელებით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 02 თებერვლის N53927 სხდომის ოქმის №-02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ნაწილობრის გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი:
1. სამართალმცოდნეობის შესავალსა და შესავალი საკონსტიტუციო სამართალში აღმოიფხვრას შინაარსობრივი ურთიერგადაფარვები (განსაკუთრებით სახელწიფოს მოწყობის, სახელმწიფო მმართველობის და მსგ.)
2. შესავალი საკონსტიტუციო სამართლისა და საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის თემატიკა დუბლირებულია, აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სამართლიდან ამოღებულ იქნეს ის ზოგადი თემატიკა, რომელიც მეორდება (მაგ., 1-ლი, მე-3, მე-6, მე-8, მე-11 თემები).
3. განახლდეს და რელევანტური, თანამედროვე ლიტერატურა მიეთითოს შემდეგ დისციპლინებში: შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება, ადამიანის ძირითადი უფლებები; ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ტექნიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი; ევროპული კავშირის სამართალი; დიპლომატიური და საკონსულო სამართალი.
4. გადაიხედოს სამართალმცოდნეობის შესავლის თემატიკა, აისახოს ისეთი საკითხები, რომლებიც შინაარსობრივად, კურიკულუმის მიხედვით, სხვა საგნებით ვერ დაიფარება (მაგ., მორალი, სამართლიანობა და ა.შ.)
5. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში არ მოიცავს ისეთ ფუძემდებლურ საკითხებს, როგორიცაა საკონსტიტუციო თეორიის საფუძვლები, თავდაცვა და უსაფრთხოება, საფინანსო-ეკონომიკური და საბიუჯეტო თემატიკის საკონსტიტუციო საფუძვლები და ა.შ. სილაბუსის მე-10-მე-15 თემებზე მითითებული ლიტერატურა არ ფარავს მასალას.
6. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი ისწავლება არა მხოლოდ არარელევანტური ლიტერატურით, არამედ სასწავლო მასალა ასახავს უკვე მცდარ, კონსტიტუციის ძველი რედაქციის შესაბამის შინაარსს. აუცილებელია სილაბუსი ორიენტირებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციასა და მის შინაარსზე. აუცილებელია თემატიკას დაემატოს საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემათა საკონსტიტუციო საფუძვლები.
7. საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება მოიცავს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხოლოდ ნაწილს და არ ფარავს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ საკითხებს. აუცილებელია საკონსტიტუციო სამართალწარმოების თემატიკის ზრდა სილაბუსში. ასევე, აუცილებელია გაუქმებული ნორმატიული აქტის ნაცვლად შესაბამისი კანონმდებლობის მითითება.
8. ადამიანის ძირითადი უფლებებში აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკაზე ყურადღების გამახვილება, შინაარსობრივად უნდა ისწავლებოდეს მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტების შესახებ ინფორმაცია.
9. ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ტექნიკა - ამოღებულ უნდა იქნეს გაუქმებული ნორმატიული აქტები და ჩანაცვლდეს მოქმედით.
5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვროს 2022 წლის 02 თებერვალი.

6. საბჭოს შუამდგომლობით განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება მონიტორინგის გზით 2023 წლის 02 თებერვლისათვის.
7. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 02 თებერვალს.
8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0193, მერაბ ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #680; 20.11. 2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი (0421)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი[8]	თბილისი, ჩარგლის ქ. 73
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 02 თებერვალი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	ანგარიშის წარმოდგენა 1 წლის თავზე, , მონიტორინგის განხორციელება 2 წლის თავზე
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 02 თებერვალი